


კ ვ ა ლ ა



სალიბრატურო და სამეცნიერო ნახაბებიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა ღამს.

№ 25.


ივნისი 12, 1894 წ.

№ 25.

შინაარსი: თ. ლ. ა. მაღალაშვილი. — შესტვირე რას აშობს, ლექსი ავაგოსა. — საურადღებო ამბები. — ავაგის სიყვება. — ნაზარადან მეთხველია. — შესტალიცი. — თ. წ. — ღისა. — კ რ ი ტ ი კ ა: პასუნი ქრონიკების პატრონის თ. უორდანას გ. წერეთლისა. — შაინის პუბლიცისტიკა პეტრიძისა.

თ. ლ. ა. მაღალაშვილი

რეუნდელს
 ტფილისის თავად-აზნაურობის კრებაზე თუმცა თავად-აზნაურობას ერთხმად ჰსურდა ამოერთიანებოდა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა თ. ლ. ა. მაღალაშვილი გუბერნიის მარშალად ამითი ცხადთ დამტკიცებინა თავისი უღრმესი პატივისცემა წარჩინებულის ქართველის მოღვაწისათვის; მაგრამ თ. ლ. ა. მაღალაშვილმა შინაური საქმეების გა-



თ. ლ. ა. მაღალაშვილი


თ. ლ. ა. მაღალაშვილი

მოველარიკისრა ტფილისის ლუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლობა და უარი თქვა ამ საპატიო, მაგრამ ჩვენ დროში მძიმე, მოვალეობაზე.

თ. ლ. ა. მაღალაშვილი ერთს იმ ბრწყინვალე გუნდს მესამოცე წლების განათლებულის ქართველის თაობისას ეყუთენის, რომელმაც ქართულის ლიტერატურაში და საზოგადოებაში შეიტანა ცხოველს-ყოფელი მოქმედება; განაღვიძა მკონარეობისაგან ჩვენი საზოგადოება, დაძრა ერთი ადგილი-

დან და დაყენა იგი წარმატების გზაზე. ბევრი საზოგადო წმინდა ქართული სასაპარეზო საქმეები აღორძინდა მის ხელში. ა) თუთხმეტის, თუ ოცი წლის განმავლობაში თ. ლ. ა. მაღალაშვილი ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს თავში უდგა და შესაფერს კვალსაც აჩენდა. ეგრე ერთი ჩვენგანი ისე გაბედულად და მედგრად ეერ შეებრძოლებოდა ხოლმე წინამდგომარე ბნელს ძალას, როდესაც იგი უსამართლოდ გამოილაშქრებდა ხოლმე საქართველოს თავად-აზნაურობაზე და მთელს ერზე მის დასამცირებლად და სასაცილოდ ასაუღებლად. ჩვენ არ დაგვიწყენია მისი მამაკურთი, სწორედ ერის წინამძღოლობის შესაფერი, პასუხი „მოსკოვის უწყების“ წინააღმდეგ, რომელ-

შიაც ღრამის „სამშობლოს“ წარმოდგენის გამო წარსული საქართველოს ერის ღრამა საცილოდ აიგდეს. თ. ლ. ა. მაღალაშვილმა დიდი ღვაწლი მოუტანა ჩვენს თავად-აზნაურობის სკოლას, მიჰცა მას სიმკვირე და სიმტკიცე. ენახოთ მას შემდეგ სხვანი რა წარმატებას მიჰცემენ მის მიერ დამკვიდრებულს საქმეს. თ. ლ. ა. მაღალაშვილი თაოსნობს ამ გამაკაუეთის რკინის გზის გაყენას. იმედია, მისი მეთაურობით ამ საქმეს მიეცემა კეთილი ბოლო. ის ახლა უნდა იყოს 55 წლისა; ჯერ კიდევ მხნე და გატაცებულია სამშობლოს კეთილ-ღღობის წადილით, კიდევ ბევრს კარგს უნდა მოეცელოდეთ მისგან მომავალში.



მისჯერი რას ამბობს?



რემლით ამეგსო ქამანა, კენესით და ოხერით — სტიერია! აქამდე ძველ-ღროს მოვთქვამდ. ახლა ახალსაც ვსტიერია!..

ღმერთო, რა ენახე?! რას ეხედაე?!

რა ღრო დაგიდდა ესაო? სიმტყუენე გულში იციონის, სიმართლემ დაიციენსაო!..

მელა მექათმედ დამდგარა მწყემსობას ჩემობს მეელიო..

ემმაკი ემმაკს პატიყობს: „სასუფეველში გელიო!“

ღიდება შენდა უფალო! სხვა ღროა... უცნაურია... გადაუბრუნდა ქვეყანას თვალი, ენა და ყურიო! .

კრემლით მეესება ქამანა, კენესით და ოხერით სტიერია! — აქამდი ძველებს მოვთქვამდი, ახლა ახლებსაც ვსტიერია!..

აჟაჟ



საყურადღებო ამბები

ქაღაქმაიან და დაბა-სოფელქაიდან



ყოველს დაბა-სოფელს ეტყობა განახლება, წინა-მსვლელობა, ყოველს დაბა-სოფელში სხვა-და-სხვა სასარგებლო დაწესებულება არის, მაგ. სკოლა, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, დეპო, წიგნების მაღაზია და სხვები, მაგრამ ყვირილის არა ეღირსა რა. ნუ თუ ამოდენა დაბაში ერთი სამკითხველო არ უნდა იყოს, ან წიგნთ-საცევი და ან წიგნების მაღაზია? არაჟინ გამოჩნდა მოთავე, თეარა ხალხი არაეითარს ხარჯს არ დაზოგავს კჳუა-გონების განვითარებისათვის. აქ ორი სკოლაა: ერთი ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი და მეორე სამრეწლო სკოლა; მაგრამ ხომ მოგესხენებათ სკოლა

უწიგნთ-საცეით იმ მეომარს ჰგავს, რომელიც ომში თიარალოთ მიდის და ბევრს ეგრას აკლებს მტერს. ისე ამთაერებენ ამ სკოლებში ბავშვები სწავლას, რომ ერთს ქართულს წიგნს ეერ დანიხავს თვალით, ერთს სასარგებლო წიგნს ეერ წაიკითხავს. მაგრამ უკატრავად რუსული წიგნთ-საცევი ნორმა-ლურს სასწავლებელში არსებობს და მართლაც ბავშვები დიდი წყურვილით ჰკითხულობენ, რასაც მიმცემენ საკითხავად, თუმცა ჩემი ფიქრით, საუბარელო წიგნები ცოტა წიგნთ-საცევი.

რაც შეეხება სამრეწლო სკოლას, თუმცა მის წაწელთა რიცხვი ბევრია, მაგრამ რა გამოვიდა! ის წაწელიან ორ ანაზის და როცა გაათავევენ, თუ საღმე მიიღეს სასწავლებელში ხომ კარგი, თეარა მერე კითხვად ავიწყლებათ და რჩებიან უნუფეშოთ, ტყუილ ჩაუღლისთ მშობლებს შრომა. ამისათვის საქირაო

მზრუნველობა ამ სკოლისამ და მასწავლებელმაც იზრუნის პატარა წიგნთ-საკცის დაარსებაზე, რომ ბავშვებსაც მიაწოდონ სულიერი საზრდო. ჩვენდა სასიამოვნოთ, მგონი, იმ ორ მასწავლებელს მესამეც მივმართოს, აპრილში მასობის უფროსმა გამოუცხადა მცხოვრებლებს: მთავრობა გვეხმარება და გვითვლის სახელოვნო მასწავლებელი დაიარსეთო. მცხოვრებნი დიდი სიხარულით დათანხმდნენ სკოლის შენობის თავის ხარჯზე გაკეთებას და იმედია, მალეც ასრულდება ეს კეთილი განზრახვა.

რ. ჟ—ლი

* *

კოსტანტინოპოლიდან „კვალის“ რედაქციას მოუყვია იქაურ ქართველებს შორის მიხაილ ანდრასის მიერ მოგროვილი სწოთა თუშინი ქართული სალიტერატურო ფონდის წესამატებლად.

* *

ქუთაისის საქალაქო დამატებითი არჩევანი შედგა იენისის 5-ს კვლეე ხარაზიშვილის თეატრში. დაუდგეს ყუთები 40 კანდიდატს. მათგან არჩეულ იქნენ 8: სპ. ჯორჯიკია, ის. ვაბაშვილი, ვას. პეტრიაშვილი, ივ. კახაკივი, მიხ. ქუთათელაძე, დედ. ივანიძე, დიმი. ბოკერია, დიმი. ბახტაძე, ამ სახით მომავალი ქუთაისის საქალაქო საბჭო შედგება ოცდათექვსმეტ ხმონისაგან.

* *

ოზურგეთს 14 აპრილს 1894 წელს გეკონდა კრება, რომელსაც უნდა გაერჩია რამოდენიმე კითხვები უფრო წიგნთ-საკცის შესახებ, რომლის გადაკეთებას ეპაირებდით. ამ კრებაზე დაესწრენ, ბერი მასწავლებელთაგანაც. კრება დაიშალა და საუბრადადგო კი არაფერი დაუდგენია, რადგან ზემო-სსენებულ პირთ ეს განზრახვა არ მიუწონდათ. ეს იყო საღამოს 4მს. ჩვენი მასწავლებლები უძველესად ბაღში უნდა შესულიყვენ, სადაც „ბანქოს“ მოთამაშებები იმათ მივლიდათ. იქ ერთ მასწავლებლის ზედამხედველს ვთხოვე უფროსი წიგნთ-საკცისათვის შემწეობა აღმოვიჩინა. მე ჩემი საცხოვრებელი კარტში წაეგეო და როდესაც ამოვიგებ, მაშინ აღმოვიჩინე შემწეობასაო. ახლა „ლიშნი“ ფულები აღარ მაქვსო, მიპასუხა პატიოსანმა გმირმა. შემდეგ დამიწყო ლაპარაკი, თუ რამდენი წაეგო წინაღობით „პროფერანსში“, თუ „სტოში“ ღ გაათავა მით, რომ დილით საათის შვიდზე ათი მანეთი მოგეო და სახლში წასულიყო. თქვენ უნდა გეყურებოთ იმისთვის მაშინ, როდესაც იმან თქვა ათი მანეთი მოვიგეო. ეს ორი სიტყვა სწორედ ორი წამი კი გაავრძელა, თეალები აენთო, პირზე ქურდული ღიმილი ეტყო-

ბოდა, ხელებს საოკრად აქნედა, ერთი სიტყვით, დიდს ნეტარებას გრძნობდა მაშინ.

მეორე მაგალითი, — ბნ თავართქილაძის სამკითხველოდან მოსწავლეებზე რამე წიგნები გაჰქონდათ უფსოდა და აღტაცებით ჰკითხოლობდნენ. ერთს შევნიშობ რღეს მე და ჩემი ამხანაგ, წიგელით წიგნთ საცემში, გვიწოდდა რამე კრძო წიგნი გამოგვეტანა წასაკითხავად. შევედი თუ არა, მარცხნივ კარებთან შევიპჩინეთ მოწაუფთა გროვა, რომელთაგან ერთი მეორეზე მიდიოდა შკაუთან და იქიდან ბ-ნი თავართქილაძე უჩივებდა მათ თითო-ოროლა წიგნაკებს. შევირღებე, კმაყოფილი თავის-თავისა და მერე თავართქილაძისა, ბრუნდებოდნენ ისეე უკან. ეს შემთხვევა ჩვენ ძალიან გავგვსარდა. ერთმანეთს მაღწყეთ ლაპარაკი, თუ რა გავლენას იქონიებს ბავშვზე წიგნის კითხვა და შემდეგ თითონ თავართქილაძეს ეკითხეთ: დიდი ხანია, რაც ბავშვებს აქედან წიგნები გააქეთ საკითხავად, თუ არა?, ერთი წელიწადიაო — გვიპასუხა.

ეს ამბავი, როგორც სანუფემო და ყველასთვის სასიამოვნო, ისე გაუზარეთ ზოგიერთ მასწავლებელთ. წარმოადგინეთ ჩვენი გოცება, დახმარების მაგიერათ იმათ რა გეპასუხებს: „Вы господа такъв ხომ იცით, რომ უჩენიკო არ აქეთ ნება еъ посторонней библиотеки წიგნების გამოტანისა და я დღესეე სოცეტში გამოავცხადებ, რომ такой-то человекъ развращаетъ მოსწავლეებს და თქვენც შიგ გავგვეთო. ეს ხომ იცით თქვენი!.. пожалуй, თქვენც დაგეკარგებად кустое хлѣба“: ამ სიტყვებს შემდეგ ეს ჩვენი საიმილო პირი ადგა და წაიყდა. ჩვენ გაშტერებთ შეყურებდით ერთმანეთს. აღარ ვიცოდით რა გვექნა, როდესაც მოულოდნელად ასეთი სიტყვები გავიგონეთ; მაგრამ კიდევ არ გეჯეროდა, თუ господинъ ნ. ამას იკადრებდა. სულითა და გულით გვიწოდდა ხელ-ახლა მოვლასაარაკებოლით ბ-ნ ნ.; მაგრამ ის დაიკარგა.

ამას შემდეგ შეგიძლიათ დაბეჯითებით შეიტყოთ, თუ როგორი ყმაწვილები უნდა გამოვიდნენ ჩვენს შეწეიერს ქალაქში ამისთანა მასწავლებლების ხელში, რომელნიც საღამოდან დაწყებული მეორე დღემდის კარტს თამაშობენ და უძინარი და დაქანცული კლუბიდან პირდაპირს სასწავლებელში შედიანე.. რა ნაირად უნდა გამოადგეს ყმაწვილი თავის სამშობლო დედას, მამას, როდესაც აღმზრდელიდან და თითქმის ცოცხალ-მიღებულ კაცთან ემისი: შენ ქართულად არა ხარ! შენთვის სულ ერთია, ენიქნები! შენ ნაციონალური გეძნობდა უნდა დაკარგო! რომელი ტომისა ხარ, ის არ უნდა იცოდეს და სხვა.. რასაკვირველია ამისთანა დარიგების გავონებაზე, ბავში სულ ერთიანად იფანტება, ჯავრი

მოუღის და ყოველივე ნდობა მასწავლებელზე ეა-
გება. რა უნდა ჰქნას ასეთი კაცების შემხედნარე
ოზურგეთმა? მაგრამ რომ ჩვენნი სკოლების მეთაურნი
ოზურგეთში ამ ბოლოს დროს თვალს ვამაჯყეტ-
დენ და „ბანქონარდში“ დროს ჩაღუპვის მაგიერად
მშობლებთან დიკურენ ურთიერთობას და საერთოდ
მოხმარებოდენ ყმაწვილების სწავლის გაუმჯობესობას
სამშობლო ენაზე, მაშინ მათი არა მადლიერი ოზუ-
რგეთი, კიდევ მოიბრუნებდა მათზე გულს.

დ. ფედოსიშვილი

სამტრედიის საჯარო წავნთ-საკაცის სახელით
უგულითადესი მადლობა უნდა გამოუცხადო შემდეგ
პირთ: 1, ქ-ნ ვერა ნ. აბულაძეს, რომელმაც შემო-
ჭწირა უ. შექსპირის ყველა ტომები და აგრეთვე
ალუთქვა ყველა თხზულებები ლ. ბაირონისა და ლო-
სტოეცისა; 2, ან. გიგო საველის ქ. ჭუჭუას, რომ-
ელმაც შემოჭწირა 10 მან.; 3, ქ-ნ მარიამ ფ. მკურ-
ნალისას, რომელმაც გადმოგვცა მის მიერ აბაშის

სადგურზე შეგროვილი 21 მან., *) 4, იაკობ სვიმონის
ძე გოგებაშვილს, რომელმაც შემოჭწირა თითო ცუ-
ლი ყველა თავის თხზულებათა და სამი მანეთის
სხვა-და-სხვა წიგნები, 5, თ. ივ. მიახბელს, რომელ-
მაც შემოჭწირა ყველა მის მიერ ნათარგმნი შექსპი-
რის დრამები, 6, ქ-ნა ბარბარე დადიანს მ-ქელაძე-
სას, რომელმაც შემოჭწირა სამი მანეთი, 7) ბ. ნი-
კოლოზ სოლომონის ძე ზალდასტანიშვილს, რომელ-
მაც შემოჭწირა სამი მანეთი, 8, ბ. ივანე დ. კი-
ლაძეს, რომელმაც შემოჭწირა სამი მან., 9, ქ-ნ ანე-
ტა ი. კანდელაკს, რომელმაც შემოჭწირა სამი მან.
და ათი შაური, 10, ბლ. მღვდელს მ. ერმალოზ
კანდელაკს, რომელმაც შემოჭწირა 10 მან.

დაბარსებელი საქმურდის საჯარო წიგნთსაცავისა
პეტრე გვლიშვილი

*) ამ ფუფუნის შექოშირეკლათა საა თქუტკადმი-
მე გაღვეკითი გამოსაცხადკადად „იკვირის“ რედაქცას
და იქ დაგარგა. ა. გ.

აკაკის სიტყვა

3 არასცეს, მ-ს იენის ბაღში სადილი ვაფუმა-
რთეს გორის მარშალს, ბ-ნ სულხანიშვილს.
სადღზე დიდძალი ხალხი დაესწრო და მთ
რიცხვში ბევრი ვარემუც. ჩვეულებისამებრ ბევრი
სიტყვა წამოითქვა. — ბ-ნი ნიკოლოზ თავდოზის ძე
ჩოლოყაშვილი იყო არჩეული ტოტუმბაშით, რომ-
ელმაც რამდენსამე სადღეგრძელოს შემდეგ ტოლო-
მბაშობა გადაუღო ცნო ენა ვახტანგის ძეს ორბელიანს.
ორბელიანის მოსწრებულმა და მეჭერ-მეტყველურმა
სიტყვებმა საზოგადოება გაამბიარულა!.. ცოტა ნა-
კლი ის იყო მხოლოდ, რომ დედა-ენაზე სიტყვის
თქმას ვერ ახერხებდა! როცა აკაკის სადღეგრძელო
დალიეს, ერთხმად სიტყვა მოთხოვეს და პოეტმაც,
თითქოს ბოდიშის მოსახდელად, რომ ძველებურად
აღარ შემძილია სიტყვის მოხერხებაო, ლექსი წაი-
კითხა „ჭალარა“ და უქანასწენლი მუხლიც რომ
თქვა:

„არა!.. აპყვედეს იმედი!..
გულს ვერ გამიტებს ჭალარა!..
გმირებს დაეძებს... უყივის
ჩემი დაფი და ნალარა!..“

ატყდა ერთი დაუბოლოებელი ტაშის-კერა და
„ვაშს“ ძახილი. პოეტმა მადლი გადაუხადა საზოგა-
დოებას და ლექსაც შედ მოაბა შემდეგი სიტყვა:
„ბატონებო! ეს ლექსი შევთხზე ამ ათის წლის წი-

ნით და ზოგიერთებმა, ჩვეულებისამებრ კიჟინა და
მცეს: „აი, უმეცარი პოეტის ოცნება, თუ გნებავთ
ეს არისო: რისი გმირი? რა გმირი? სად არის? და
საიდან უნდა მოვიდესო?“ მეც, რასაკვირველია, ჩე-
ულებრივად გავფუმიდა და ყურადღება არ მიმიქე-
ულა მათი განჩინებისათვის. — გაიარა ათმა წელიწადმა
და დღეს სულ სხვას გაიძახინა ისინივე: „ის გმირ-
ბი — პოეტი ვერ ხედავს, თორემ — დიდი ხანია, აგუ-
რ-და-ათი წელიწადია, კიდევ მოვიდენ და მოჩა,
გათვად, აწ სხვებს ნულა მოვლით!..“ იწამეთ მზი-
რად ისინი და თაყუანეციითა!..“ საკვირველია, რომ
ამას ისინი გაიძახინა, ვინც ადრე სულ სხვას ღა-
დებდენ! და ვისაც დღეს მათი არა სურჯრა, იმას, გა-
სრესას, დედამიწასთან გასწორებას და დაღუპვის გე-
ქუნიან!.. რაღა გეტუქმის?.. პასუხი მათდამი მზი-
ლოდ ლომილია.. ცრუ-წინასწარმეტყველები ყოფ-
ნის ბევრი ყოფილან, მაგრამ საჩრჭმურა კი მთი-
ვანი ცოტა გამოდგარა!.. მაშინ, როდესაც ცრუ
წინასწარმეტყველი, ფარსევლებისაგან ზურგ-გამ-
გრებულნი, განცხრებოდენ, ფუფუნებდენ და თმა-
მად გაიძახოდენ: „ჩვენა ვართ და ჩვენ შემდეგ ნუ-
ლარაგის მოვლითო! ნამდვილი წინასწარმეტყვე-
ლი და წინამორბედი, აქლემის ტყავში გამოხვეული
ფეხ-მიშველა და მშვიტ-მწყურვალნი, უდაბნოში და-
ღადებდა და ოორდანის პირად ამას ჰქადაგებდა:
„მე არა ვარ, რომელსაც თქვენ მოვლითო!“ მე
თქვენ ნათელსა გკეთებ მხოლოდ წყალითა და ის

ნათელს გცემთ თქვენ სულითა წმიდითაო! ამ სიტყვებმა ზარა დასცეს მებურთათა და ფარისევლებთა და ამოუთხოვეთ ეკთხოებოდენ ნათლისმცემელს: „სად არის ის შენგან დასახლებულყო! მან გაიშვირა თითი, დანახება ერს მთის წვერზე შორით მომავალი წამდელი მოძღვარი და მხსნელი.

დიადო! მხოლოდ ნაცარ-ქქია იტყვის: „ჩემით თავდება გვირობაო“ და არა წამდელი გვირი, რომელიც მომავლისაგან თავის თავზე უკეთესებს მოელის და ნატრბის!.. ვაი, იმ ერს, რომელსაც ჰჯერა, რომ დღევანდელი ჩემი მოძღვრები და გვირები უკანასკნელდები არიანო! მისი წარმატება შეფერხებულა. — როგორც ყოველი ერი, რასაკვირველია, ჩვენც უნდა მოველოდეთ ჩვენის მომავლისაგან უკეთესს მოძღვრებსა და გვირებს!..

საიდან უნდა გამოვიდეს ეს გვირები? იმ ბუდიდან, რომელსაც ხალხის გული ჰქვია!.. ის უნდა იყოს კეთილი ნაყოფი იმ ხისა, რომელსაც „ხესანაურისა“ ეწოდება!.. აჰ, ეგება, ზოგიერთებმა გაიყვირონ და გუნებაში თქვეან: „სად მივლით ერი და სად ხვო? მათში საერთო მგზავსება განა არისო?“ მაგრამ ეს შეცდომაა: „თუ დაუტყვირდებით, დაგინახეთ, რომ ქვეყანაზე საკვირველი თანასწორობაა!.. შემოქმედებითი ძალა ისეთი მიუღლომელი და სამკრთლანია, რომ ყველასათვის, ხილულისა, თუ უხილულისა, სულიერისა, თუ უსულიოსათვის ერთი და იგივე საარსებო ძალა მიუწიჭებია, თუმცა სხვადასხვა ფერადებით კი... აი, ბატონებო, შეგხედოთ ამ ხეს! სხვადასხვა ნაწილებისაგან არის შემდგარი... აქვს ფესვები, შუატანი, ანუ ღერი და მალა შტოები, სადაც ფოთლები, ყვავილები და ნაყოფი ებმის. ფესვები ღრმად არიან მიწაში ჩაძვარი... არ ჩანან... მაგრამ თავი და თავი ძალა მთელი ხის კი ისინი არიან: მათი სიმაგრით ღვას ხე ფეხზე და მათგან ეძლევა საზრდო. — ღერი კაშვირია იმ ფესვებისა და შტოების: შტოები; კი იმ ღერის ამონაყარი ფესვებისე შემწეობით. ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ ხეს ედუვა დაჰკრავს, დაჰკრავს და დასწულულებს... მაშინ პირველად შტოებს ეპარება სიყვითლე და თუ არ მიეშველეთ, არ გადასხებთ, მთელ ხესაც გახმობს; მაგრამ რომ გადასხებ, მას შემდეგ ისე ხის ხე ამოიყრის ხოლმე შროვალ-გვარ შტოებს, რომელთაც საუკეთესო ნაყოფი მოაქვთ. — აგრეთვე შეიძლება შუა ტანზე, ღერზე დარგოს კაცმა მისი, გვარის წერტი და გაუმჯობესოს ხე, ერთმანეთთან შეზოარებით, მაგრამ ძირს, ე. ი. ფესვს კი არა მოუზერებდა რა!.. იმის დაჰკრა და ხის სიკედილი ერთი და იგივეა... მაშ თვეი და თავი ძალა მთელი ხისა ის ფესვები ყოფილან?! — დიად, მაგრამ ჩვენ იმას ვერ

ებედათ და მიეჩნებოდათ მხოლოდ იმ შტოებს, რომლებზედაც ფოთლები საამუროდ შროვალდებენ, ყვავილები თვალ-მისატანებლად იშლებიან და ნაყოფი მწიფდება. — ეს არის ყოველი ხის არსებითი კანონი, რომელიც ყოველმა მებაღემ იცის და უფრო თხილდება ფესვებს. — ამ გვარივეა ხალხის საარსებო კანონიც: ყოველი ერი სხვადასხვა წოდებად იყოფა: იმას აქვს თვისი დაბალი, შუათანი და მაღალი ტანი (მე აქ შთამომავლობით წრე არა მაქვს მხედველობაში.) ჩვენ ყოველთვის უფრო შეეჩნებოდათ ზედა ტანს და იმ ფესვს კი, რომელსაც მიწის მუშე ეწოდება, ხშირად ვერც კი ებედავთ.

აი, თუ გინდა დღესაც, აქ ჩვენთან ერთი მათგანიც არ არის, მაგრამ მათი ნაკურთხი მარჯვენა კი აქ ჩვენ წინ, ჩვენ სუფრაზე ძეგს; „პური და ლენოა ახარებს გულსა კაცისასაო“. ჩვენც დღეს ვმხარულობთ ამ პურ-ღვინით და ეს სინაურულის მიწეზე, იმ მუშების, იმ დაბალ წოდების მეთაურთა, რომელიც ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და ისე ეუფილედო, როგორც კეთილი მებაღე უფლის ხე-ხილს. — მაშ, გაუმარჯოს იმ ჩვენ ღარბი და ქვედა საფეხურზე მდგომარე მოძმეებს და მათთან ერთად იმათაც, ვინც იმათ არ იფიჭებს! — ეს სადღეგრძელო ღირსეულად ერგება დღეს არჩეულ ბ-ნ სულხანიშვილსაც. ჩვენში ხშირად არჩეულ წინამძღოლს, წინამძღოლს ეძახიან... ეს შეცდომა თვით განზოარტულებული სიმატილეთა: წინამძღოლელი ნიშნავს იმას, ვინც ხალხს წინ უძღვის და წინამძღომელი კი ის, ვინც იმათ წინდაწინ გააძღვებს ხოლმე: — ამომირჩიეთო!.. ჩვენ ყოველთვის წინამძღომლები გყავოლია!.. იმათ ყოველთვის მალა ეჭირათ თავი და დაბალ წოდებასთან საერთო არა ჰქონიათ რა!.. უცხო კაცს დღის სავალზე მიეცებებოდენ და წერილ-ფეხობას თავსაც არ უტყავდენ! ევრ იცნობდენ და მაშ როგორღა გაიგებდენ მათ ჰირსა და ლხინს, რომ დახმარებოდენ? — ბ-ნ სულხანიშვილს კი გულმა უჩრჩია, რომ სწორ გზას დადგომოდა და თავისი ყურადღება უფრო მდაბლისა და წერილ-ფეხობისათვის მიექცია. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ უმეტესობა გარის მახრისა კმაყოფილი და მხიარულია თავისი არჩევით. ამ მხრით, ე. ი., მით, რომ ბ-ნი სულხანიშვილი ზრუნავს და ემსახურება, არა, მართა ბატონობადაჩვეულ გვარისშვილებს, არამედ უფრო ღარიბს და წერილ-ფეხს, აწნაურობას, ის ღირსია პატივისცემისა... და ამიტომაც გულითა ესეამ, როგორც საკუთრად მისას, ისე იმის ამჩრეველების სადღეგრძელოს!..

ხმა მაზრიდან

Qვერიის* მეფელეტრანე ვილკ „ვინიმე“ თავის სახშირკედლოა ფელეტრანში „Новое Общарпние“—დან მოგვითხრობს ჩენი „ყველასაგან პატრეცკულის პუბლიცისტის“ ბ-ნ ნიკოლაძის შემდგ სიტყვებს აკაკის წინააღმდეგ: „აკაკის ნიჭი აქვს და ერთი იოტის ტოლა განეთიარება და ცოდნა არაო... მისდენე მხოლოდ ილია არის, თუარა აკაკიმ თავისი ნიჭი უფიცობის გამო დაფლა მიწაში“ და სხვ... ჩვენ შხად ვიყავით, რომ გულახდილათ და სიწინდით მიგველა ეს სიტყვები და ჩავეწერვა გონებაში, მაგრამ იმავე დროს მოგვაგონდა იმავე ბ-ნ ნ. ნიკოლაძის სიტყვები თ. ილია ჭეჭეჭაძის საწინააღმდეგოთ, როცა ეს უკანასკნელი „ტიბუთული ნახშირიანს“ უძახდა მას (ნ. ნიკოლაძეს): მოგვაგონდა, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ბ-ნი ნ. ნიკოლაძე სწორედ იმავე სიტყვებს, რომელიც დღეს აკაკიზე უხმარია, ხმარობდა თ. ილ. ჭეჭეჭაძეზე და დასასრულ ლაპარაკობს ი. ჭეჭეჭაძის ნიჭის რა მეცოდინება, როცა ის ერთი ხელის ოდენა სტატიისთვის მთელ სამ დღეს ჩაიკეტება ოთახში; წვალობს, იტანჯება, ცხელ ოფლს ასხამს და იქნება როგორმე დაწვრობა (სიტყვები დაახლოებები გვაქვს ნახშირი *)); ნიჭიერი და მწერალი აკაკიაო. დიად, გვაგონდება ეს და არ ვიცით, რომელ ნიკოლაძეს დავუჯეროთ: ძველს, თუ ახალს? თუ უწინდელს ნიკოლაძეს დავუჯერებთ, ახლანდელი ნიკოლაძე დაგვიმტრება... მაშასადამე უმჯობესია არც ერთს ნიკოლაძეს არ დავერწმუნოთ. დიად, მკითხველო, ეს არის ნიმუში ჩენი მწერლობის მართლ-მსაჯულებისა; თუმცა მისალოდნელი კი იყო, რომ ასეთი ნიჭიერი პუბლიცისტი თავისი პირადი სიმპატიითა და ანტიპატიით არ იხელმძღვანელებდა საზოგადო საქმეების აწონ-დაწონაში და მოღვაწეების დაფასებაში... მოსალოდნელი იყო, რომ ის ჩენი საზოგადოების თვლების ამხვევს ვაგბატონებს, თავისი თანამომხე რუსეთის მწერალთან ერთად, შვიძახებდა: „СПИМИТЕ МАСКИ, ЛИЩЕМЪРЫ!“ (აღიხადენით ნიღბანი თქვენი, პირმოთხენო!).

თუ სიტყვა „უსულია რამ ქარია“, ბატონებო, პაწაწინა კალმით დაწერილი ხომ ცულისთაც აღარ წიწილება და, მაშასადამე უნდა გეხსოდეს, რომ გახეთი იგივე მატანა და ცივილიზაციისა და კაცობრიობის ისტორიის მწერალი ამ დღევანდელის განხეთის ფურცლებს დაეკითხება, ამ გახეთის მოთხოვს უტყუარს მართალს თავისი პირ-უთენელი და მიუღვამელი განჩინების დასადგენად; ამ გახეთის ფურცლებს შეეკითხება, თუ „რანი ვიყავით გუშინ?“ „რა ვაკეთებთ, რას გზრებოდით ჩვენ ქართველნი წინა დროსა?“ მაგრამ, ვი, რომ ამოად დაუწყებს ის ძებნას სიმართლეს ჩვენს სტამბითს მწერლობაში; ის იქ მხოლოდ ნახავს მოყვრის ქებას და შტრის ძავებას: აი, ეს იქნება ჩენი ისტორიის მასალა. მაგრამ, გარწმუნებთ, ეს ისტორია დაფასებს ჩენი საზოგადო მოღვაწის ნიღბ-ქვეშ მოპარკაშვე ვაგბატონების ქტევას და „ევი მათდა, როდესაც მოეაღს ყამი განკითხვისა!“ მაგრამ რა? ჩვენში დღეს განა ბერის აშინებს ეს მომავალი საშინელი სამჯავრო? ეს ვაგბატონები მხოლოდ პირად ინტერესებს კი მიწოდებდა ძალიან დაგიდევენ; ჰეროდოტის სახელით მოიხსენებს მათ ისტორია, თუ ჰეროსტრატისას. ეს ჩენი დღევანდელი ქება-ქება, ეს ჩენი „ასაკუტკუობა“, ეს პირ-მოთენობა, მხოლოდ ზიზღს მოგვრის ისტორიის პირ-უთენელს მკვლევარს; ის ზიზღით ააჩიღებს პირს ზოგიერთა ნიღბ-აფარებულთა ჩენთა მოღვაწეთა, რომელნიც ასე ურცხვად და კადნიერად უხევეენ თვალებს უმიტესობას თავისი ხრაკებითა და „ოლიმპიური მჭერ-მეტყველობით და გომეძინებული ეფუხსავით ჭეჭ-ჭეჭილით“.

* მართლაც რა ცოდნა უნდა ჭჭონჯეს იმ ჭაცს, რომელიც სამ დღეს ორ-სამ სტრაქონს თუ ძღვეს დასწერს, ვიჭკავთ, რომ ნიჭიც არ ჭჭონჯეს.

ავტ.

მკითხველი

პესტალოცი

(დასასრული)

ქურნალ-გაზეთები აღტაცებით მიეგებენ ამ ახალ საქმეს. მოაწყდა დიდ-ძალი ყმაწვილები. პესტალოცის დიდი შერობა სწორედ ახლა გამოადგა. პედაგოგი სულით და გულით შეუდგა

ობლებს აღზდას. ახლა მის ხელში იყო მისი აზრების განხორციელება; მრავალი სხვა-დასხვა თვისებების, ხასიათების და ასაკის ბავშვები, სწორად გაუზნებულნი უნდა ამ ერთ კაცს აღეზარდა, დაეყენებინა პატრიასან შრომის გზაზე. პესტალაუცი შემდგომ ნებას არ აძლევდა რომ თანაშემწე აეყვანა, მას შეელოდა მხოლოდ ცოლი, რომელიც ბავშვებს საჭმელ-სასმელს უკეთებდა და ტანსაცმელს უყვარდა.

აღზღის მხრივ პესტალოციმ მიაღწია თავის წა-
დღის — მოიპოვა ობლები უნაგარო სიყვარული...
ყმაწვილები თელ-წარბში შეტყეროდნენ მას. მაგრამ
ერთ წელზე აღრე ხარჯმა უსუსტა. პესტალოცის
ოცნებები უსაბირველოდ ყოფილიყო აშენებული;
მარტო ბავშვების შრომით შეუძლებელი აღმოჩნდა
თავ-შესაფარის შენახვა. პესტალოცს ბავშვების ხარ-
ჯი მეტად დააწვა კისრზე. ამან მიმართა საზოგადო-
ებას, რომელიც ეკამდის ასე თანაუგრძობდა. თუმ-
ცა საზოგადოებამ ახლაც გამოუცხადა თანაგრძობა,
მაგრამ ფულიის სახსენებელი არ მიაკა.

პესტალოცი გაჭირვებაში ჩავარდა, რაც კი რამ
ეზდა აგირავებდა, ჰყიდა. ეკონა დღეს, ხეალ სა-
ზოგადოება კიდევ მომეშველებოა, მაგრამ გიგათ ჩა-
თვალეს. განა სიგიყე არ იყო, თავის ძალ-ღონის,
თავის დროის, თავის უნაძანკენლ ლუკმა პურის მი-
ცემა სხვებისთვის? ყველამ პირი მოიბრუნა, მეგო-
ზრები გადუდღენ — გიგათ დასახეს... ყველასთვის თი-
თით საჩვენებელი გახდა. პესტალოცის სხვა გზა არა
ჰქონდა, ბავშვები დაითხოვა და ჩაიკეტა ოთახში.

გავიდა ოკო წელიწადი. პესტალოცი მხოლოდ
წერით, წიგნების გამოცემით აგრცლებდა ამ ოკ
წელიწადში თავის აზრებს და გულს ამაზე აყოლე-
ბდა. „აღზრდისა და განათლების საფუძვლად უნდა
იყოს ნამდვილი ცხოვრება და არა წიგნები და ხე-
ლოვნება“ — თქვა. პირველად პესტალოციმ და ქვე-
ყანა ამაზე ალაპარაკა. ამითი გამოიწვია დიდი წი-
ნაღმდევობა. მისს ნაწერებს უფრო იცხადენ, ვი-
დრე კითხულობდნენ. პესტალოციმ ამავე დროს და-
იწყა გაზეთის გამოცემა, „შვეიცარიის ფურცელი“ —
ეს გაზეთი შესანიშნავი იყო იმითი უფრო, რომ პე-
სტალოცი თითონვე იყო რედაქტორიც, გამომცე-
მელოც ერთად-ერთი თანამშრომელიც, კორექტო-
რაც, საქმის მწარმოებელიც და ექსპედიტორიც. გა-
ზეთი ჰქცხდა ყველას და მეტადრე მდიდარ ბურ-
ჟუას. ეს ბურჟუა ვადამეტრა გაზეთს*) და, რასა-
კვირეელია, რაკი ამათ, რომელნიც უმეტესათ გა-
ზეთის დამმარებელნი და მკითხველნი იყვენ, აღარ
გამოიწერეს — გაზეთსაც მოკლე დღე ჰქონდა და წე-
ლიწადზე დაიხურა ამ ხანებში პესტალოციმ საში-
ნელი გაჭირება გამოიარა. მამულის მოვლა ამან არ
იოდა და რაც ეზდა, ელვებში გაყიდეს. წიგნებიც
ხომ ყოველთვის გამომცემელს უფრო ასარგებლებს,
ვიდრე დამწერს. მეგობრებს უნდოდათ შეეღა, ხელის
გამართვა, მაგრამ პესტალოცი არ იღებდა მოწყა-

ლებას და თხოვდა იმათ, მასწავლებლის ადგილის
შოენას.

ბოლოს პესტალოცის აუსრულდა დიდი ხნის
სურვილი; იმ დროს შვეიცარიაში ომიანობა იყო
და ერთი ქალაქი სრულებით გადაიწვა, დარჩა უპა-
ტრონოდ აუარებელი შიშველ-ტიტველი ბავშვები.
მმართველობა უნდა მიშველებოდა. საჩქაროდ მონა-
ხეს ნახევრად დანგრეული მონასტერი და თხოვეს
პესტალოცის მოეგრავებინა ბავშვები და გაემართა
თავშესაფარი. პესტალოცის ისე უყვარდა ბავშვების
აღზდა, რომ დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა ამ სა-
ქმეს. მაგრამ სანამ საქმეს — საქმეზე მოიყვანდა, ზე-
ერი დავიდარაბა და ვიი-ვაკლახი გამოიარა. ბავშვებს
დღე-ღამე თუ ნათესავობა ყველაფერში ეწინააღმდე-
გებოდენ, ზოგს მოჰყავდა ბავში, მხოლოდ იმიტომ,
რომ ტანისამოსი დატყუოს, ზოგი ითხოვდა ფულს,
რომელსაც სახელმწიფო აძლევდა ვასაზღვლათ. მიე-
ლი დღე მარტოდ-მარტო პესტალოცი თავ-აულე-
ბლით მუშავდა, სწვრთინდა ბავშვებს. ისე ხელ-მო-
კლედ იყო ეს თავშესაფარი, რომ „სტოროვის“ და-
საქერი ფული არ მოეპოვებოდათ. მაგრამ პესტა-
ლოცი გულს არ იტყნდა, მისმა მეცადინეობამ ბო-
ლოს გაჭრა, ბავშვებმა ვაკვირებით შეიყვარეს პესტა-
ლოცი, თავყანს სცემდნენ. მათმა დედ-მამამაც დაი-
წყა მოწონებით პატივისცემა.

ამ დროს მეორე ქალაქი გადაიწვა და დარჩა
ურჩიები ყმაწვილი უპატრონოთ. სახელმწიფომ აღარ
გამოიღო ფული და პესტალოციმ არ იცოდა, რო-
გორ მიშველებოდა გაჭირებულ ბავშვებს. მერე მი-
მართა თავის ვაზდღობებს და უთხრა, რომ ერთი ქა-
ლაქი ერთიანად გადაიწვა და ეინ იცის, ასიოდე ბა-
ეში ულუკემაპუროდ, ტიტველ-შიშველი დარჩენ. მო-
ლი მოეიყვანათ ჩვენთან!

— მოეიყვანათ, მოეიყვანათ? დაიყვირეს ერთ-
ხნად ყმაწვილებმა.

— იცადეთ, ფული კი არსად არ არის! თქვენ
უნდა უწილადოთ საქმელ-სასმელი და მუშაობაც
ერთი-ორად მოგხდებოა.

ყმაწვილები ამაზედაც ადილად დათანხმდნენ.
მართლაც ამთ ქმებრით მიიღეს ახალმოსულინი,
დაუთმეს თავიანთი ტანთ-საცმელი, უწილადე: სა-
ქმელ-სასმელი. პესტალოცი თავ-განწირულობით აჩე-
ვედა ყმაწვილებს მუშაობას, ასწავილიდა წიგნს და
ეინც უფრო აღრე ისწავილიდა, ის ხდებოდა იმ-ს
თანაშემწეთ. პესტალოც-ს მეტად ნათლად გაჰყავდა
ის აზრი, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა ისე უნ-
და გაადილდეს, რომ ყველას შეეძლოს ოჯახში ბა-
ეშის სწავლება. ამის მოწინააღმდეგენი ბევრი გამო-
ჩნდენ.

*) ჩვენთვის ასეთი ამაზეი ეკსკვირი არ არის.

პესტალოცი გულ-დამშვიდებული ადგა თავის საქმეს და ბედნიერად თვლიდა თავის თავს, რომ უპატრონო ბავშვებს კეთილ-სინდისიერ გზაზე აყენებდა. ერთბაშად ბედმა უმტყუნა, მტრის ჯარი დაეცა ამის „თავს შესავას“—და პესტალოცი იძულებული იყო თავისი ასი ბავში გაეფანტა. თითონ ნადღელით დიდხანს გონზე ვერ მოიღოდა. მეგობრები კლიობოდენ გაერთოთ. ბოლოს უშოვეს მასწავლებლის თანამშრომლის ადგილი. თითონ მასწავლებელი გახლდათ მეწაღე და, რასაკვირელია, ახალი მეტროლის არა ვაფეგოდა რა და ორ-სამ თვეზე ისე გაუქვარა საქმე თავის თანამშრომლებს, ხან გიგათ გამოიყვანა და ხან ურწმუნოთ. ახლა პესტალოცი გადიყვანეს სხვაგან—ერთი მასწავლებელი ქალის თანამშრომელი.

ამ სკოლაში პესტალოცი სრული თავისუფალი იყო და, როგორც უნდოდა, სკოლას ისე დაეყენებდა, აი, აქ ყველამ მიაქცია ყურადღება მის გაუმჯობესებულ სწავლას. თვით პრაფესორები აღტაცებულნი მოდიოდნენ, მაშინ პრაფესორებმა უჩრახა პესტალოცის, რომ მას დაეარსებინა სასწავლებელი გასაწურთნათ მასწავლებლებისა, მაგრამ იმან არ იკისრა, რადგან იმ აზრისა იყო, რომ ყმაწვილებს თავდაპირველად ოჯახში უნდა ესწავლათ.

ამ ხანებში ქალაქ ბურგდორფში გამართეს თავშესაფარი უპატრონო ბავშვებისთვის, რადგან შვეიცარიაში სულ ომიანობა იყო და მრავალი დაბოძებული ბავშვი უპატრონოდ ხეტიალობდნენ. ამ თავშესაფარის უფროსმა გაიცნო პესტალოცი და მასწავლებელი მიიწვია. მალე ამ სასწავლებლის საქმე შეეწინაურა წაიდა. ყმაწვილები ადვილად და სისწრაფით სწავლობდნენ კითხვას, წერდად კარად და თვალად შეეწინაურა იკოდნენ. ესენი ნახევარ წელიწადს იმდენს ისწავლიდნენ, რასაც სოფლის სკოლები სამ წელიწადს მთლიან მოასწავებდნენ.

შვეიცრია მდებარეობდა ჰქონდა ბურგდორფის თავშესაფარს.—იმის სანახავად მოაწყდა აუარებელი ხალხი, ამერიკიდანაც მოდიოდნენ. ადგილის პოეტურ მდებარეობას, ბავშვების უშობო სიყვარულს პესტალოცი მიერ, მწახველები აღტაცებულნი მოჰყავდა და პესტალოცის დაწერილ წიგნებს აღზრდაზე აღარ იზარებდნენ. აქ პირველად იგრძინა ამ კაცმა თავი ბედნიერად. ჩქარა გაეზარდა პესტალოცის სახელი, თითონ ნაპოლეონმაც მიაქცია ამას ყურადღება, მაგრამ საკეთილოდ კი არა.

ამ დროს შვეიცარიაში დიდი განხეთქილება სუფევდა: ზოგ უნდოდა თავიანთ კანტონების შეერთება ერთ სახელმწიფოდ და ზოგს კი ისევ თავიანთი კანტონების მოწყობილობა ეჩრიათ, ჩაერია ნაპოლეონი და თხოვა შვეიცარიელებს, დეპუტატები გამოამიგზანეთო და მე მოკარგებოთ. დეპუტატებთა შორის იყო პესტალოციც. ამან მიართვა ნაპოლეონს თავისი აზრი ხალხის განათლების აუცილებელ საჭიროებაზე. ნაპოლეონი გაკვირებული იყო პესტალოცის ქცუთ, მაგრამ ყურადღება კი არ მიაქცია მის ნაწერს. ამ ორთა პირთა დიდი განხეთქება იყო: ერთი ამბობდა „ყველა ჩემთვის არის გაჩენი-


ლიო“ და მეორე — „ყველაფერი სხვისთვის არის და არაფერი ჩემთვისაო“ და როდესაც პესტალოცი გულაყრილი ნაპოლეონზე დაბრუნდა თავის ბურგდორფის თავშესაფარში, პრაფესორებმა ის ჩასვა საპრობლეში, რომ ნაპოლეონს ასიამოვნოს. ამ უსამართლობამ ხალხს ააღელვა, თვით ნაპოლეონსაც არ მოეწონა ამ ნაირი უადგილო სისხტაკი. პესტალოცი გაათავისუფლეს, მაგრამ ბურგდორფის თავშესაფარის კუდი ღლე დაღა. მართელობამ გაუკეთა რევიზია, საცა უმნიშვნელო საბუთებს მოკადა ხელი და მოაკლო თავისი წყალობა. ბურგდორფის თავშესაფარი დახურეს და ამითი პესტალოციმ უფრო დიდი თანაგრძნობა გამოიწვია საზოგადოებაში.

ამ თანაგრძნობის შედეგი ის იყო, რომ მერე ივერტონში გამართეს თავშესაფარი და იქაც პესტალოცი ჩააყენეს. თუმცა ეს კაცი მაშინ 70 წლის იყო, მაინც დაუღალაოვან შრომობდა. აუარებელი ნაწავლინი მოდიოდნენ აქაც, უნდოდათ თავიანთი თვალით ენახათ პესტალოცის სწავლის ნაყოფი. ეს მოხუცებული აღტაცებით უამბობდა ყველას, რომ აქ უფრო მეტად იჩენს ჭკუა-გონებას და მუყაითობას მზამბიო ხალხის ყმაწვილები, რომ ძალღონეს სახელმწიფოსას ამას იქით შეადგენს ხალხიდან გამოსულები.

პესტალოცის უყვარდა, როდესაც გვირგვინიანნი მოსულებდნენ მისი თავშესაფარის ამის შეტყობას. ერთელ მოვიდა ქ. ნეეშატელში პრუსიის ხელმწიფე და დაიბარა პესტალოცი. თუმცა მოხუცებული ავადც იყო, მაინც არ დაიშალა და დაბარა წაყვლა, რომ მადლობა გამოუცხადოს ხალხის განათლებისთვის მზრუნველს ხელმწიფეს, გზაზე წამისწამს სისუსტით გულს ცყრებოდა და ურჩევდნენ უკანეე დაბრუნებას, მაგრამ ის იძახობდა: თუ კი ჩემი მისთვის ხელმწიფესთან ერთი ბავში მაინც უყუთუსათ გაიხსნება, დეე, თუნდ გზაზე მოეკვდეთ.

ორმად მოხუცებული მოესწრა ივერტონის თავშესაფარის დაბრუნებასაც, რადგან ამ თავშესაფარსაც სახსარი გამოეღია, პესტალოცი წავიდა თავის სოფელში, ამას ერთი შეილი-შეილის მეტი აღარ გაჩანდა რა და იქ კიდევ ორი წელიწადი დაჟყო მყუდრო ცხოვრებაში.

მთელი თავისი სიცოცხლე პესტალოცი ცდილობდა და ოცნებობდა, რომ ღარიბ-ღატაკი ხალხი გააბედნიერებდა და ხშირად სიკოსაც გამოიჩენდა. თვით თავის მასლობლებში, რომელიც ეუბნებოდა: შე, საბარლო, შენ თითონ ლუკის ცარბული ხარ და ფიქრობ, ხალხს მისცე სიმდიდრეო. პესტალოცი თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში შემდეგს ქადაგებდა: 1) რომ მზამბიო ხალხის შეიღს სხებზე ნაკლები ჭკუა-გონება არა აქვს. 2) რომ რასაც ყმაწვილი თავის ოჯახში ერთი წლის განმავლობაში ისწავლის, იმას სკოლაში ორ წელიწადს მოუწევდა. 3) რომ ბავში თავისი თვალით უნდა ხედავდეს, რასაც სწავლობს და მხოლოდ მაშინ ჩაენერგება მას გულში სწავლა. პესტალოცი ოთხმოცდაორი წლისა გადაიკვალა. ასე ხანგრძლივი იყო მისი მოძღვრება.



ჟეორჯი დარევიანი და მარია

ჟეორჯი დარევიანი

კ რ ი ტ ი კ ა

პასუხი ქრონიკების პატრონს თ. ჟორდანიას

(„გურია“ № 111, 112).



ველა ჟორდანია განაგრძობს: მოკიფენ ჯე კრთს, მაგრამ დაიდ მსხვილ პეკადოსს: მოკესსეუბათ, რომ ბუდის ტპანა მკესეუფაა ბეგრატ მესამის მიერ; ამხე ვგრელად მოგვათხრობს თვით ბეგრატ III-ის მატანე (ქ-ცხ. I გ. 211—212), რომელიც როგორც ჩვენ დაჯამტკიცებთ, თანამედროვესკან არის დაწერილი*) (ჩემი

*) გადვალთ მართლად „ქრონიკის“ XXXIX XL გვერდი და წავიკითხოთ რამდენად სპუთიანად ამტკიცებს ის, ვითომც ბეგრატის მატანე თანამედროვესკან იყოს დაწერილი: „გიორგის მეთობიან ბეგრატ III-მად (ქ-ცხ. 197—213) ჩვენი მატანე რომ თანამედროვესკან არის აწერილი, მის გვიმოკიცებს კილო და სჯამიანობა მოთხრობისა“ (მოდი და ახლა დაუფერე ამისთანა მკელეეარს მისი დამტკიცებები, როცა თავის დასკვნას ამყარებს ასეთს ქრავფუტა საბუთებზე, როგორც არის აკილო, ანუ „საკმიანობა“ მოთხრობისა) „თითო-ორთად ადგილი მატანის თვით მხილველისკან დაწერილს ჭგავს (საიდან ჰგავს, ბნ-ო. ჟორდანი, რომელი საბუთის ძალით?), მაგალითად; კონსტანტინესი გადგომა და მისი დაჭერა უფლის ცისეში ისეთის დაწერილით არის დაწერილი, როგორც თვით მსილგეესდა მკესეუფის: აქედან დაიმოწილეს ტყენ... შეიქმნა სმაჲ, გამოვიდა მეთე და უოკელი დაწარი და დგვეს ცნის გრემო, და რაქმს გათენდა, იქეს მიბაჲ. სოლო იგი გამოსრულ იყო წაღი და მესულ იყო ნანრასს კლდისსა და მუნ დადულ იყო. შოგა იგი კატან ვინძე უნდამს, შეიპერეს და სხე. (ქ-ცხ. 202). (ნუ თუ მართლა თ. ჟორდანიას ჰგონია, რომ ეს მაგალითი მოთხრობის ამტკიცებს, რომ თანამედროვისკან უნდა იყოს დაწერილი? რატომ ორას, სამას წელს შემდეგ არ შეიძლებოდა ამ გეარადე დაწერილიყო ზეპირგადმოცემა. ჩანს თ. ჟორდანიას არ გაუფიქრა, რომ ზეპირგადმოცემები ამხე უფრო დაწერილებითაც იწერება. აღბად იმას არ წაუციოთხავს „ილიადა და ოდისეა“; თორემ ასეთს ლათინებს არ მოჰყუებოდა)... „ბეგრატის მატანე დაწერილია მამხე; ბეგრატის სიკვდილის შემდეგ († 1014 წ.), (საიდან იკით ეს ბნ-ო. თ. ჟორდანი, რომელი უტყუარი საბუთის ძალით?) რამდენსამე ხნის მამე მეთე უწერდა ისე, როგორც მსხვილად. ეს ცნადგვას ლოკიერო ფრესკისკან; მამხინ ჟეგრეთ ცნოსდალი იყო მამხ ბეგრატისა ბეგრატ († 994 წ. ქ-ცხ.

„ქრონიკები“ გვ. XL). ეგულა დიდ-დიანი მესტორიანი ამკე ზნის ადგენენ ჰამდის (რატომ არ ასახელებთ, რომელი დიდ-დიდი მესტორიანი ადგენენ?). სოლო ჩვენსა „ქრონიკებს“ არა თუ დამოწმეს ბუდის ბეგრატის მიერ მამხე, არამედ თვით წელიადე ჩვენეს იმის დასწენისა—999 წელს (იხილეთ ჩემი „ქრონიკები“, გვ. 137). დიად, ეხილეთ და იქ წერია: „წელს (ქრისტესით) მ. ჯ. თ. ბეგრატ, ქედან გურგენ მეთესამან გურამლადტამ ბუდა დასწენა“.

